



ნახ. ზ. ზორაბიძისა

№ 22 (1344) ნოემბერი 1970

სიყვარული

— საიდან აქვს მონღოლური ავიჯი და ტენიკა?
— ცხონებულმა გაგუჩემა დაგიტოვა.

გამოცემის 47-ე წელი უახლესი 20 კპვ.



ქვერი სალაქი 50 წლის საჭოთა სომხეთს!

ა. წ. 29 ნოემბერს მოძმე სომეხი ხალხი, ჩვენი ჭკვიანის ყველა ხალხთან ერთად, დიდი ზეიმით აღნიშნავს სომხეთში საჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის სახელოვან 50 წლისთავს.



ვაგარშაკ ნორანტი

ჩემო სომხეთო!

აღმოგაჩინე უსასრულო ოცნებად ჩემად, სისხლში ამენთე უწმინდეს და ღვთაებრივ ალად და გახდი ჩემი ახდენილი სიზმრების ენა, სომხეთო — ცათა უძველესი სული რომ გფარავს!

დღეს თვალწინ შენი თავმომწონე წარსული მიდგას: მედგრად ხედებოდი გახელებულ მომხდურთა მახვილს და გამარჯვების იმედები ავსებდა გმირთა გულებს, ასე რომ უფრთხილდება სომეხი ხალხი.

შენში ერთმანეთს მარადისად შეერწყმა ძალა, დაუძლეველობის სილამაზე, ზეცა და მიწა... ზღაპრული ღვინით მადმერთებდი, მივსებდი მარანს, მიასკეცებდი ერთგულებას დაღლილი მზისა.

ჩვენ იმ საკვირველ და ჩაკირულ საუკუნეთა კუბოს წავართვით კაჟიანი შენი სხეული. უამინდობა არ გინდობდა, არც გადუნებდა, ასე გამოვლენე მილიონი ათასწლეული.

ოქროს ოქტავით დიდ ოქტომბერს ვეტყუვი მადლობას: მან მოგირჩინა, თვალისჩინო, ყველა ჭრილობა, გიხსნა, გაგათბო, ცად აგზინა, გაგაზნათობა, გაგიათასა მადლიანი დედა-შვილობა!

გვაქცია ამაყ და ბედნიერ მემკვიდრეებად ცადაწლეული, სწორუპოვარ შენი მიწა-წყლის, დღეს დროშას შენსას, მოკაშკაშეს, ვერვინ შეებდავს, დროშას, რომელსაც ვაჟკაცური მკერდით ვიცავდით.



ვიმოწმებ წარსულს — წყვდიადიანს, ათასწლეულიანს, წყალში იდექი, უმოწყალოდ გეკიდა ცეცხლი... ის მწარე წლები, ნაწამები, გარდასულია და ახლა ბრწყინვა დიდებული აწმყოსი გერწყმის.

მხურვალე სუნთქვით დაგიფარეთ, გაგათბეთ, დედაგ, და გადაგისხით საკუთარი ალალი სისხლი... თავისუფლების ეს ნანატრი მანტია ერთად ამოგიქარგეთ უკვდავებით დიადი მიზნის.

ახლა ხელიხელ ვაგოგმანებთ შენს გამძლე ძეგლებს — მსუნთქავს სიტყვაში, სიმღერაში, ქვასა და ფერში, გენიოსებმა უსაზომო სულით რომ შეჭქმნეს, დაუნდობელი ჟამთასვლაც რომ ვერა და ვერ ცვლის.


სალოცავო და სათაყვანო ჩემო სომხეთო, როგორ ამღლდი, აღემატე მზესაც ნათებით. შენმა შვილებმა ყველა ღმერთზე მეტად მოგხედეს, მოგრთეს, მოგხატეს, ახლა ზღაპარს ვეამათებო.

ბედნიერება არ არსებობს უფრო ნანატრი: დღეს თავი ჩვენი, შეცნობილი, ჩვენვე გვეკუთვნის; თესავ და იმკი, მოწმენდილი ზეცა დაგნათის და უკვდავებას გიკანონებს ყველა სეკუნდი.

სომხეთო — დედაგ! იმ მწვერვალზე დადგომა მინდა, შენ რომ აგზინა შვილთა შენთა გამრჯე მარჯვენამ, მინდა გიმღერო სიმალღეთა სიმღერა წმინდა, — ხალხს რომ მოხიბლავს, ხალხს რომ შესძრავს, ხალხს რომ დარჩება!

თარგმნა ზაურ ბოლქვაძემ

ნახ. ვ. ღარბინიანისა




იდეალური ქვერი.


„მოზნი“ — სომხეთის სსრ სატირისა და იუმორის ჟურნალი.



ნახ. ე. მანღალიანისა



უსიტყვოდ (იმიტომ, რომ ავაზე ლაპარაკის კი სირცხვილია).



70


— არ გაიბარტა ველში მიხაკო, რაც პენსიში გავილა? უფროსების წინაშე მოხრა აღარ ჰქირდება.



70

— რა ლაგაჟი ავეჯია, ჩიტო, ვიყიდოთ, გეთყვებ!

— არ გვინდა, ფისო, რაღაც სსსაპართლოს მაგონებს.



— რატომ ჩხუბობს ეს ხალხი? ნუთუ, ორმა გოთლმა ღვინო დაათრო?

— არა, ორი გოთლის მავივრად, სამი ვუანგარიშე და ეს ეფყინათ მებ ნაფუსგარეცხილებს!

ყურადღება!

საქართველო
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკა



საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავთან დაკავშირებით შურნალ „ნინავის“ ჩედაძის ავტობუს საიუბილეო კონკურსს საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებზე (გოთხრობები, ლექსები, კაფილები, იუმორესკები, მინიატურები, იგავ-არაკები, ნაკვეთები, თემები კარიკატურებისთვის და ა. შ.). საკონკურსო მასალები უნდა ასახავდეს თანამედროვე ცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

კონკურსის ვირობები:

გამოგზავნილი მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანძაზე ორი ინტერვალით დაგეგმილ 3 გვერდს.

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს 2 ცალად.

კონკურსი დასრულია და ტარდება დევიზით. ცალკე კონკურსი ჩაიღება ფურცელი ავტორის გვარის, სახელის, მამის სახელისა და მისამართის აღწერით. დევიზი უნდა დაეწიოს მასალის ორივე ცალს. წარმოდგენილ მასალებს განიხილავს კონკურსის შიური — შურნალ „ნინავის“ სარედაქციო კოლეგია.

საკონკურსო მასალების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1970 წლის პირველი თებერვალი. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 1971 წლის თებერვალში.

დაწესებულია უმჯობესი პრემიები:

პირველი პრემია — 150 მანეთი. ორი მეორე პრემია — თითოეული 100 მანეთი.

ორი მესამე პრემია — თითოეული 50 მანეთი.

სამი პრემია, თითოეული 50 მანეთის ოდენობით, გიცემა კარიკატურების საუკეთესო თემებზე.

კონკურსში გამარჯვებული მასალები დაიბეჭდება შურნალ „ნინავის“ და მათ ავტორებს, გარდა პრემიებისა, მიეცემათ ჰონორარი ჩვეულებრივი წესით. „ნინავის“ დაიბეჭდება ის მასალებიც, რომელთაც კონკურსის შიური რეკომენდაციას მისცემს გამოსაქვეყნებლად.

მასალები უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 42, შურნალ „ნინავის“ ჩედაძის. კონკურსისათვის.

შურნალ „ნინავის“ სარედაქციო კოლეგია

შეშინა ტყუილი

ჩვენი ნაცნობი პოპულარული შალვა ქუჩაში შემხვდა და მითხრა: ახალი ნაწარმოები უნდა წაგიკითხოთ. კი, ძალიან სასიამოვნო იქნება, მაგრამ ქუჩაში რა ამის ადგილია-მეთქი. მინიატურააო. თუ მინიატურაა, წაიკითხე-მეთქი. კუთხეში მივდგეთ, თორემ ისე უხერხულიაო. მივდგეთ-მეთქი.

მივდექით. ამოიღო და წაიკითხა.
 „პეპელას ფრთებზე შავ-წითელი წინწკლები ჰქონდა. ამასობაში კუმ გამოიარა, ღეროზე შემჯდარ პეპელას დახედა და უთხრა: ეგ შავ-წითელი წინწკლები რად გინდაო? არ მინდაო, პეპელამ უთხრა, მაგრამ რომ მაქვსო? რო არ გინდოდეს, არ გექნებოდლო, მიუგო კუმ, გაიცინა და გზა განაგრძო.“
 შალვა უცებ ჯიქურ მომჩერდა. მიყურებს, ვუყურებ, მიყურებს...
 — მერე? — ვკითხე.
 — რა მერე, მორჩაო.
 — როგორ თუ მორჩა...
 იმიტომ, რომ მორჩა. მოგეწონაო? ერთხელაც წაიკითხე, ყური კარგად ვერ დაგიგდე-მეთქი.
 ნაწყენმა შემხვდა და ისევ წაიკითხა.
 — ძალიან დიდი ბოლიში, მაგრამ... — ავირიე მე, — რაღაც ვერ მივხვდი.
 — ვერა? — გაუკვირდა.
 — არა, შეიძლება, მისახვედრია, მაგრამ, ალბათ, არა ვარ განწყობილი.
 — არა, მაგაში სწორი ხარ, — გამამხნევა, ჩემს ნაწარმოებებს სამჯერ მაინც სჭირდება წაიკითხვა.
 და მესამედ წამიკითხა.
 — როგორია, ხომ ძალიან კარგია?
 — კი, ალბათ.
 — კუ ხომ კარგადაა გამოყვანილი?
 — მშვენივრად. ნამდვილი კუა.
 — რაო? — შეიცხადა, — როგორ თუ ნამდვილი?
 — აი... ნამდვილი. დამაჯერებელი.
 — სიგყვასიგყვით?
 — ჰო, რა ვიცი...
 — როგორ, შენ ის კუ კუ გგონია? იგი ხომ ადამიანია.
 — ადამიანი?
 — აბა რა. ჯერ ეს ერთი, კუ არ იცინის, არ თქვა ახლა, იცინისო; მეორეც, კუ პეპელას როგორ დახედავს ფრთებზე, კუ ხომ დაბლა დადის, და მესამეც, კუ არ ლაპარაკობს, და შენ როგორ მიიღე სიგყვასიგყვით ეს გარემოებები? — შენ სრულებით არ გესმის ლიტერატურა.
 — და მაშინ... — გამიელვა, — პეპელაც... არ არის პეპელა, არა?
 — რა თქმა უნდა. აი, შენ უკვე ცოცხათი გონება გაგეხსნა. ის პეპელა თუნდაც იმიტომ არ არის პეპელა, რომ პეპელა, ჯერ ეგ ერთი,

არ ლაპარაკობს; მეორეც... მეორეც, თუმცა, რად გვინდა მეორეც, განა ის არ კმარა, რომ პეპელა, საერთოდ, ცხოვრებაში არ ლაპარაკობს? და რომ ნაწარმოებში ლაპარაკობს?
 — ვინ არის ის პეპელა?
 — ის პეპელა არის ქალი, რომელიც ხელოვნური სადებავებით ინახება და თავის თავს აჯერებს, დახატული კი არა ვარ, არამედ ლამაზი ვარო, ეს მინიატურა არის საწყისი ბუნებრიობის დაბრუნება ქალისთვის და არა პირიქით. ეჰ, სულ გყუილად წაგიკითხე, შენ თურმე სრულებით არ გესმის ლიტერატურა. უ არის ბუნებრიობის ქება.
 — ბუნებრიობის ქება?
 — დიას, — გაიმართა შალვა.
 — მაშინ, — მორიდებით ვუთხარი, — პირდაპირ რომ დაგეწერა, ბუნებრივად?
 — ეს როგორ...
 — როგორ და ერთმა კაცმა ერთ ქალს მიუთითა, არ გინდა არაბუნებრიობაო...
 — ჰეე, — გაიცინა შალვამ და ხელი ჩაიქნია, — ეგ რომ დამეწერა, რაღა ინტერესი იქნებოდა? ეგრე ხომ ქვეტექსტის ნაგამალიც არ იქნებოდა, ახლა კი ცარიელი ქვეტექსტია. როგორ, შენ ქვეტექსტი არ მოგწონს, კონსერვატორ ხარ?
 — როგორ არ მომწონს, მაგრამ...
 — არა, არ მოგწონს, — გამაწყვეტინა, — შენ სრულებით არ გესმის ლიტერატურა.
 — კუმ გაიცინას მაგივრად კუმ ჩაიცინა რომ იყოს, არ აჯობებდა? — თავი გამოვიდე მე.
 — ჩაიცინა? ჩაიცინა, ჩაიცინა... — გაიმეორა მან, — სხვათაშორის, შეიძლება მართლა ჯობდეს, ამას დაუკვირდები. ბიჭოს, შენ ყოჩაღ, შენ ცოცხათი თურმე გესმის ლიტერატურა, — გამამხნევა და ნაწარმოებში რაღაც ჩაინიშნა, — აბა, იმას თუ მეტყვი, ღერო რას ნიშნავს?
 — ღერო... ღერო... საპარიკმახეროს ხომ არ ნიშნავს?
 — არა, არა... პეპელას სადა აქვს თმა, რას ამბობ... ღერო, ამ შემთხვევაში, ქმარია — ცოლის ნავთსაყუდელი, ცოლის მორჩილი და თავისი არაფაქტურობით მუნჯი. ღერო ხომ არ ლაპარაკობს... მუნჯია. შეიძლება ითქვას, უტყვი. ეს სინონიმებია. აბა, თუ იცი, კუ რას ნიშნავს?
 — კუ ხომ ადამიანია...

— არა, ადამიანი ბევრნაირია. როგორი, მაინც როგორი?
 — ნელა მოსიარულე.
 — არა, სიარულს რა მნიშვნელობა აქვს. კუ არის პირში მთქმელი ადამიანი. გაიგე, რას ნიშნავს?
 — კი, — ვთქვი მე და მიმოვიხედე.
 — აბა, კიდევ რას ნიშნავს კუ?
 — რა ვიცი, აბა? — შევჩვილე.
 — აბა, კარგად დაუკვირდი: „კ“ და „უ“.
 — არ ვიცი... არ ვიცი!
 — ანლავე აგისხნი: კუმ ხომ კარგად უთხრა?
 — კარგად!
 — ანლა დაუკვირდი — კარგად უთხრა.
 — მერე...
 — პირველი ასოები აიღე ამ ორი სიგყვიდან. რა გამოვა?
 — კარგად უთხრა... კ, უ...
 — ჰოდა, ხედავ? ხედავ, რა ოსტატურადაა მაგრამ, — მოიწყინა შალვამ, — თარგმანში დაიკარგება.
 — აფსუს, — ვთქვი მე. მერე სულმა მაინც წამძლია, — კი მაგრამ, კუ არის „კარგად უთხრა“ თუ „კარგი მთქმელი“?
 — აბა, რას ამბობ, რას ამბობ! — დამგუქსა შალვამ, — ესე იგი, პირველი ასოებიდან გამოვლინარე, მე უნდა დამეწერა, რომ კმ ჩაიცინა, არა? აბა, ერთი მითხარ: კმ რა ქართულია? ეეჰ, არ ვუვლით ენას, არ ვუვლით, არა. ეჰ, შენ ქვეტექსტიც სულ არ გყვარებია...
 — როგორ არ მყვარებია, მაგრამ...
 — აბა, თუ გიყვარს, პეპელას შავ-წითელი წინწკლები რას ნიშნავს?
 — წინწკლები... არ ვიცი.
 — არ იცი? ჰმ... შავ-წითელი წინწკლები საპარფიუმერო ინვენტარის გამოყენებას ნიშნავს: შავი — გუშს, წითელი — პომადას. და ეგება იმასაც ვერ მიხვდი, ბოლო წერტილი რას ნიშნავს?
 — არა... არ ვიცი... — და უცებ გავბრაზდი, — საიდან ვიცი!
 — ჰმ, — ჩაიცინა, — ახლა კი მე ეჭვი აღარ მეპარება, რომ შენ ნამდვილად არ იცი ლიტერატურა, — და ამაყად გამოაცხადა, — წერტილი ნიშნავს, რომ წინადადება დამთავრებულია.
შალვას ნახრობი

ნახ. ა. კანდელაკის



— კმ სტოქჰოლმში ლაპარაკი არ იცინა და მე კი სულ დაგამიწყდა, რომ ზამთრი-სათვის საკვების მოზადება იყო საჭირო.

— შვედრდით რამდენიმე წუთით და ავობისნით, როგორ ასწავლავს ხოთ დაზგავს მუშაობას?
 — რომ შვედრდო, მათინ რაღას მოუასწავს!

(თანამედროვე ვარიანტი)

ნ.ბ. ა. მახარაშვილისა

ერთხელ რწეილი და ჭიანჭველა დამობილ-
დნენ. გაუდგნენ გზას. გზაში ჭიანჭველას ჰონ-
კონგის გრიბი შეეყარა. ახტა-დახტა რწეილი:
მართალია, იმპორტულია, მაგრამ მკურნალობა
უნდაო და ჭიანჭველას საავადმყოფოში უკრა
თავი. ექიმმა ახედ-დახედა ჭიანჭველას და თქვა:
— მაგას ჩემთვის ანკეტა არ მოუტანია, არ
მივიღებო.

დასვა რწეილმა ჭიანჭველა და გაიქცა რეგის-
ტრატურაში.

— რეგისტრატორო, მომეც ანკეტა, ანკეტას
მივუტან ექიმს, ექიმი მიიღებს ჩემს ძმაც კი-
ანჭველას, საავადმყოფოში დააწვენს და მოარ-
ჩენსო, — ერთი ამოსუნთქვით შესძახა რწეილ-
მა რეგისტრატორს.

— შენ რომ ჩემთვის მთავარი ექიმის რეზო-
ლუცია არ მოგიტანიაო?

ახტა-დახტა რწეილი, მივიდა მთავარ ექიმთან.

— მთავარო ექიმო, დაადე რეზოლუცია, რე-
ზოლუციას მივუტან რეგისტრატორს, რეგისტ-
რატორი მომცემს ანკეტას, ანკეტას მივუტან
ექიმს, ექიმი გასინჯავს ჩემს ძმაც კიანჭველას,
დააწვენს საავადმყოფოში და მოარჩენსო.

მთავარმა ექიმმა უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის უბნის ექიმის მომართვა
არ მოგიტანიაო?

ახტა-დახტა რწეილი, მივიდა უბნის ექიმთან:

— უბნის ექიმო, მომეცი მომართვა, მომარ-
თვას მივუტან მთავარ ექიმს, მთავარი ექიმი და-
ადებს რეზოლუციას, რეზოლუციას მივუტან
რეგისტრატორს, რეგისტრატორი გახსნის ანკე-
ტას, ანკეტას მივუტან ექიმს, ექიმი გასინჯავს
ჩემს ძმაც კიანჭველას, საავადმყოფოში და-
აწვენს და მოარჩენსო.

— კი მაგრამ, შენ რომ ჩემთვის ავადმყოფა
არ მოვიყვანიაო?


ახტა-დახტა რწეილი, გაიქცა ჭიანჭველასთან,
მაგრამ იგი იქ აღარ დახვდა... ვიღაც მადლიანს
სასაფლაოზე წაეყვანა.

ვახტანგ მაღრაძე



— სადა ხართ აქამდე, დავიცალე სისხლისგან!

ვ. ხატიანი



— წყნეთში ავიყვან?
— მერე იქიდან ტარიელი წამოვიღე?
— ტარიელი რატომ, კაცო, დავიცალე სამი
დღე და უკან წამოვალ!

ნ.ბ. ა. მ. თამთაყვიშვილისა

თბილისი
კონტროლური
სამსახური

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. გოლჭავაძე
(პ/მ. მღვიმანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
ბ. ნიშნინაძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შვილიძე,
ო. ბელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი-
პროსპექტი № 42.
თბილისი, სატირიკო-
იუმორისტული
ჟურნალი «ნიანგი».
ბმლ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93 10-78.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად
26/X-70 წ.
ხელმოწერილია დასა-
გეზად 20XI-70 წ.
ქალაქის ზომა
70x108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
ჰირობოთი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საქ. კვ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14
შეგ. № 3170.
შ.მ. № 02242.
ბირათი 115.300.

გასუქებული თხი


(ძველი იგავი)

ერთი თხა იყო სოფელში,
უკუდო, წვერებცანცარა,
არსად დატოვა ნეკერი,
ვაზიც ფოთლისგან გასცალა.

გასუქდა, ფერდი გავესო,
აბრიალებდა თვალებსა,
სხვა თხებს არაფრად აგდებდა,
რქები ხანჯლებად აღესა.

ერთხელ თქვა: მგელი მაჩვენეთ,
ვაჟკაცს ჯაფრი მაქვს მგლისაო,
ამ რქებით უნდა დავლევო,
ის გლახის ჭირი, ისაო...

მელიამ უთხრა: სად შენ და
სად ის აყვია მგელიო,
ხვალვე დახვდი და დაბუნე,
შენგან უფრო მეტს ველიო.



დილა გათენდა თუ არა,
ბილიკს დადგა ტყისასა,
ბოლოს შევიდა უღრანში,
ნაკვალევს ეძებს მგლისასა...

მოსალამოვდა, შებინდა,
მგელმა დატოვა ბუნაგი.
საკბილო უნდა, ცეცხლსა ჰყრის
დაუნდობელი მსუნაგი.

უცებ რას ხედავს; ბილიკზე
თხა მოდის წვერებცანცარა...
გადახტა, ეცა კისერში,
განძრევაც კი არ აცალა.

მგელმა შესანსლა ბეკეკა,
განა დაფრთხა და შეშინდა.
მალე სვავებიც მოფრინდნენ,
ისინიც დაძღნენ ლეშითა.

თუმც ეს არაკი ძველია,
ძველია სიბრძნე ყოველი,
იმ გასუქებულ თხის ბედი
ყველა ტრაზახას მოელის.

ბიომთა მახარაშვილი

№ 743 70
შემოვიღე 19
წელი
7. XII

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

1
1970

70-743

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქაადა სმელთაშუა ზღვაში თაჲმომხრილია ამერიკის შა-
ერთეული შტაბების 55 სამხედრო სოვალი.



ნახ. ზ. ლომიძისა

სმელთაშუა ზღვაში